კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის როლი საფონდო ბირჟაზე კომპანიების ღირებულების ამაღლებაში

მიხეილ რობაქიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო ბიზნეს-სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

მიხეილ რობაქიძე, 13.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია **კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის როლის ძირითადი ასპექტები და მისი გავლენა საფონდო ბირჟაზე კომპანიების ღირებულების ამაღლებაში.** მიმოხილულია მისი ჩამოყალიბების ისტორია, კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის (CSR[1]) როლი საფონდო ბაზარზე კომპანიების ღირებულების ამაღლებაში და პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა.

ქვემოთ მოცემული ნაშრომის მიზანია მკითხველს გააცნოს საკითხი, სახელწოდებით „კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის როლი საფონდო ბირჟაზე კომპანიების ღირებულების ამაღლებაში" და მასში განხილული იქნება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) როლი საფონდო ბაზარზე კომპანიების ღირებულების ამაღლებაში.

კომპანიების მდგრადი განვითარებისა და ეთიკური პრაქტიკის მზარდი აქცენტის გამო, CSR ინიციატივების ინტეგრაცია გადამწყვეტი ასპექტი გახდა ბიზნესისთვის[2]. ასევე, განხილულ იქნება CSR აქტივობებსა და კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებს შორის კავშირი და მათი შემდგომი გავლენა საფონდო ბირჟაზე. კვლევა ეყრდნობა არსებული ლიტერატურის მტკიცებულებების ანალიზს და ფინანსური საქმიანობის სხვადასხვა ინდიკატორს. დასკვნები ხაზს უსვამს დადებით კორელაციას CSR-სა და საფონდო ბირჟის ღირებულებას შორის, რაც უზრუნველყოფს კორპორატიული გადაწყვეტილების მიმღებთა, ინვესტორთა და დაინტერესებულ მხარეებს შეხედულებებს.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ საკითხი ეხება თანამედროვე სამყაროში არსებულ წარმატებულ კომპანიებს, მათ როლს[3] საზოგადოებრივ

[1] Corporate social responsibility - კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის აბრევიატურა ინგლისურ ენაზე, აქ და შემდგომში გამოყენებული იქნება, როგორც კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის ექვივალენტი ტერმინი.

[2] Kuldeep Singh and M. Misra. "The evolving path of CSR: toward business and society relationship." Journal of Economic and Administrative Sciences, (2021).

[3] სტატია ჰარვარდის ბიზნეს რევიუს (ჰარვარდის ბიზნეს სკოლის გამომცემლობა. Harvard Business Publishing არის ჰარვარდის ბიზნეს სკოლის შვილობილი კომპანია.) ოფიციალურ ვებ-გვერდზე, Sustainable Business Went Mainstream in 2021 (hbr.org) – 01.06.2023

ცხოვრებაში და იმ გავლენებს, რასაც საზოგადოება ყოველდღიურად განიცდის ამ კომპანიებთან ხილული, თუ უხილავი სახით[4]. ნაშრომში ინფორმაცია გადმოცემული იქნება გასაგები ენით და ის გამყარებული იქნება მაგალითებით (ქეისებით).

ნაშრომის პირველ თავში საუბარია კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის როლის განმარტებაზე, მეორე თავი ეძღვნება კორპორატიული მართვის მოდელების ზოგად მიმოხილვას (გერმანული და ამერიკული), მესამე თავში საუბარია კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის როლის შინაარსზე საფონდო ბირჟაზე კომპანიების ღირებულებათა ამაღლებაში. მეოთხე თავში განხილულია კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის როლის მნიშვნელობა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში, მეხუთე თავში ფასიანი ქაღალდების ღირებულების განსაზღვრის ზოგადი მიმოხილვა. მეექვსე თავში საუბარია კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის და ფასიანი ქაღალდის ღირებულების კორელაციაზე (მათ შორის ინვესტორთა უფლებების დაცულობის თვალსაზრისით), მეშვიდე თავში მოცემული იქნება რეკომენდაციები, საქართველოს მაგალითის სახით, დაბოლოს, მოცემულია დასკვნა.

ნაშრომის წერისას კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია, მოცემული საკითხის მიმართ არსებული თეორიული და პრაქტიკული მასალების სიღრმისეული კვლევა აშშ და კონტინენტური ევროპის მაგალითზე. დოქტრინალური კვლევა რაც მოიცავს აშშ-ს კანონმდებლობის ანალიზს. გამოყენებულ იქნა შედარებითი მეთოდები აშშ-ის და კონტინენტური ევროპის, როგორც განსხვავებული სამართლებრივი სისტემების და ინსტიტუტების შედარება, მსგავსებების და განსხვავებების, განსაკუთრებული მახასიათებლების გამოვლენა. კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა ასევე ისტორიულ სამართლებრივი მეთოდი. ჩემს მიერ მიმოხილულ იქნა აშშ-ში **კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის როლი საფონდო ბირჟაზე**

[4] კორპორატიული ძალა გლობალურ ეკონომიკაში გლობალური განვითარებისა და გარემოს ინსტიტუტი ტაფტსის უნივერსიტეტი, მედფორდი, MA 02155, GDAE სასწავლო მოდული ეკონომიკაში სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე ბრაიან როუჩის მიერ, http://ase.tufts.edu/gdae - 01.06.2023

კომპანიების ღირებულებათა ამაღლებაში სამართლებრივი ნორმების განვითარების ეტაპები და ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით გთავაზობთ წინადადებებს/ მოსაზრებებს სამომავლოდ მისი იმპლემენტაციის თაობაზე ქართულ კანონმდებლობაში. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეფასების მეთოდის გამოყენებით შემუშავებულია ნაშრომის დასკვნა. პროცესების შეფასება/ დაკვირვებით, ანალიზითა და გაუმჯობესების რეკომენდაციების ჩამოყალიბებით. კვლევის შედეგად დასკვნის სახით მომზადდა რეკომენდაცია ქართული რეალობისთვის.

სარჩევი

3.1. - კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის დეფინიცია და წარმოშობის ისტორია 14

3.2 - კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება კორპორაციათა მმართველობის ორგანოების საქმიანობაში 18

3.3. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებაზე 21